№ 161 1877—1897 № 161

პარასკევი, 8 აგვისტო 1897 წ.

# ივერია

პარასკევი, 8 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227·

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა
სთხოვს ამავე ბანკის განსვენებულის დირექტორის

**თავადის დავით ივანეს ძის ავალიშვილის**

პატივისმცემელთ, მობრძანდნენ პანაშვიდზედ დღეს, 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ბანკის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზედ.
(1—1)

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია"
ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

## რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

წმ. ნინოს სახელობაზედ დაარსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა ამითი აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები** თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დანიშნულია 1 **სექტემბრისათვის.** თხოვნა და არზა ამ სასწავლებელში შესვლის შესახებ უნდა დაიწეროს ამა გამგეობის სახელობაზედ და ამასთან დართული ჰქონდეს მოწმობა ანუ ამოწერილობა წლოვანების დავთრიდგან (მეტრიკა) და მოწმობა მკურნალისა ყვავილის აცრის შესახებ.

მსურველთ შეუძლიანთ ისწავლონ ფრანგული ენა და მუსიკაც, მხოლოდ ამ საგნების სწავლებისათვის განსაკუთრებული სასყიდელი გარდახდებათ.

სრულის ხარჯით შემოსულთ გარდახდებათ 180 მან., ნახევარის ხარჯით შემოსულთ—90 მან , ხოლო გარედგან მოსიარულეთ—30 მან. წელიწადში.

კურსი პროგიმნაზიულია.

(3—უ.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

ყარაურგანის საკარანტინო და სადამოჟნო კანტორის მდივანს (იგივე ხაზინადარია) ტიტულიარნი სოვეტნიკს გ ე რ ს ა ლ ი ა ს ებოძა კოლეჟსკი ასესორობა.

ოჩემჩირეს საკარანტინო-სადამოჟნო ზასტავის მოხელეს ტიტულიარნი სოვეტნიკს მ ე ს ხ ს ებოძა კოლეჟსკი ასესორობა.

გუბერნსკი სეკრეტარის ჩინი ებოძა უზუნადას დამოჟნის მდივანს ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვილს.

გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს კოლეჟსკი ასესორს ა ბ ე ს ა ლ ა შ ვ ი ლ ს ებოძა ნადვორნი სოვეტნიკობა.

ამავე სასწავლებლის მასწავლებელს დ ა დ ი ა ნ ი ძ ე ს კოლეჟსკი სეკრეტრის ჩინი ებოძა.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ამიერიდგან საქველ-მოქმედო დაწესებულებათ ნება არ მიეცემათ ლატარია-ალეგრის გამართვისა და ამიტომ ამ საზოგადოებათ სხვა წყაროებს უნდა მიჰმართონ საჭირო ფულის მოსაპოვებლად.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, კოჯორში დარჩება ამ თვის 27-მდე და შემდეგ გაემგზავრება ყარსის და ერევნის გუბერნიის დასათვალიერებლად.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა 5 აგვისტოს გაჰგზავნა ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი კოდისა და ყუმისის საზოგადოებათა სოფლებში, რომლებშიაც ციებ-ცხელება არის თურმე გავრცელებული. ბ-ნმა მაჭავარიანმა თან საგზაო აფთექა წაიღო.

⁂ 5 აგვისტოს ქალაქის გამგეობის აგენტმა გასინჯა თამამშოვის ქარვასლაში მოვაჭრე „შკაფჩიკების" არშინები და აღმოჩნდა, რომ შკაფებზედ დანიშნული ვითომ და არშინები, რომელზედაც ვაჭრები ზომავენ გასასყიდ საქონელს თითქმის ყველგან არშინზედ ნაკლები ყოფილა ő ამგვარად ატყუებენ თურმე შკაფჩიკები მუშტარს. ბეჭედ-დასმული არშინი მხოლოდ სამ ალაგას აღმოჩნდა. ეს არშინები თურმე 1888 წელს გამოუზომავს ქალაქის გამგეობას. სჩანს, ამ წლიდგან დაწყებული სრულებით აღარავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ვაჭრებისთვის.

ამასთანავე უნდა მოვიხსენოთ შემდეგი ამბავი: ორშაბათს, 4 აგვისტოს თამამშოვის ქარვასლაში ივანე სტეფანეს ძის იარალოვის შკაფთან მივიდა სავაჭროდ ერთი პატივცემული ქვრივი ქალი და წასვლის დროს შკაფზედ დაავიწყდა ქოლგა, 6 მანათად ღირებული. ქალი ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნდა, მაგრამ ჯერ უარი უთხრეს, „აქ არაფერი დაგრჩენიათო", მეორე დღეს ქოლგის პატრონს მოახსენეს, „თქვენ შემდეგ ვიღაც ქალები მოვიდნენ სავაჭროდ და იქმნება იმათ გაიყოლიესო, დღეს კიდევ მოვლენ და იქნება მოიტანონო", მესამე დღეს კიდევ უპასუხეს—„არა, არ მოსულანო" და თან დასძინეს: „ასი თუმანი რომ დაგრჩეთ აქ არ დაიკარგებაო". ასი თუმნისა რა მოგახსენოთ და ქოლგა-კი დღესაც დაკარგულია.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის ისგზ უფროსს ე. ლ. ვედენეევს მიეცა 20,000 მანათი ბაკურიანის რკინის გზის შტოს გასაყვანად მუშაობის დასაწყებად ბორჯომის სადგურიდგან.

⁂ კავკასიის ოლქის გზათა უფროს-

## ფელეტონი

### უძლური ბოროტება

(პასუხად „კვალის" რედაქციას)

I

„კვალი" ბოლოს ხანს ძაან გამამაცდა ჩემ წინააღდეგ, ისე გამამაცდა, რომ ლამის ფრთები შეისხას. მართალია, ჭიანჭველა რომ ფრთებს გამოისხამს, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო; მაგრამ სად ჭიანჭველა და სად იმისთანა გოლიათი, როგორიც ბრძანდება ბ-ნი გიორგი წერეთელი. ამ უკანასკნელს ერთ ლუკმად არ ეყო ჩემი „მოსავლის მცველნი". აილო, უწყალოდ დაანიავა და მისცა წყალსა მდინარსა. მათემატიკური აქსიომასავით დაამტკიცა, რომ იგი მავნებელი წიგნია, რადგანაც ქადაგებს აზრებს კარლ-ფოხტისას, ბრემისას, ვაგნერისას, ბალდანოვიჩისას და სხვათა ბუნების მეტყველეთა და არა „კვალის" დიდი მეცნიერისას. ყბის მეორე მოქნევით ამ გოლიათმა შეუბრალებლად გადაყლაპა ჩემი პატარა მოთხრობა: „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი". ამისი მავნებლობაც დიდისა და პატარისათვის დღესავით ცხადად დაგვანახვა, რადგანაც აღმოაჩინა, რომ ჩემი მოთხრობა აღარაფრითა ჰგავს „რუხს მგელს", უკვდავს და კლასიკურს ქმნილებას ჩვენის უებრო ბელეტრისტისას.

ამასთან რედაქციამ გამოიჩინა სამაგალითო თავმდაბლობა. ეს მეორე სასიქადულო კრიტიკა, შექმნილი ღირსეულთა მეუღლეთა შეერთებული გონებრივი ძალით, მიასაკუთრეს ვიღაც გარეშე პირს, ორს XX ქვეშ მიმალულსა. მაგრამ აქ იმალება მორცხობის გამო მხოლოდ რედაქცია და სხვა არავინ. ეს ღვაწლი ეკუთვნით თვითონ ცნობილ მეუღლეთა სავსებით. ერთი X გახლავთ მეფე, მეორე X დედოფალი. დუეტი გამოდის საამო, მშვენიერი, კეთილშობილური ჰარმონიით სავსე და ფრიად ნაყოფიერი.

ხუმრობა იქით და როგორ მოგწონთ ეს მალულობა? სხვა რედაქციები თვითონ კისრულობენ პასუხის გებას ამა თუ იმ წერილისას, თუ თანახმანი არიან მისი შინაარსისა, „კვალის" რედაქცია-კი თავისს საკუთარს ნაცოდვილარს აბრალებს სხვას, გარეშე პირსა. რად? ალბად იმიტომ, რომ მკითხველს თვალები აუბას, უძლური სიბოროტის ნაყოფი კრიტიკად მოაჩვენოს, სიცრუეს ჭეშმარიტების სახე მისცეს. აშკარაა, რომ თვითონ რედაქციას სათაკილოდ მიაჩნია თავისი წერილი, თორემ ნიღაბის ჩამოფარებას რად იკადრებდა.

სიყალბით დაწყობილი წერილი სიყალბითვე გრძელდება და სიყალბითვე თავდება.

წერილის სათაურში ვხედავთ ნიანგის ცრემლების ღვრას. რაზედ ჰგოდებენ და სტირიან ცხარე ცრემლებით ცნობილნი მეუღლენი? პირადობის გამეფებაზედ ჩვენს ლიტერატურაში, პირადის ჯიბრის აღორძინებაზედ, უკადრისს პოლემიკაზედ, კერძო ცხოვრების შეხებაზედ. გამოდის, რომ მეუღლენი ნამდვილნი კრავები არიან, უმანკონი და უცოდველნი, და ამ უმანკოთა არსებათა დასევიან სხვანი, ვითარცა მგლები ჩვენის ლიტერატურისა. თვით მაცხოვრის დროის ფარისეველნი შურის თვალით შეხედავდნენ ამ ოინს, თავისი საკუთრის ცოდოს მოხვევას სხვის თავზედა. ვაჟო, და ყველაზედ მეტად ვინ შეუწყო ხელი ამ პირადობის გამეფებას ჩვენს ლიტერატურაში, თუ არა „კვალის" რედაქციამ? ვინ ააღორძინა ამ ბოლოს წლებში ინტრიგა, ინსინუაცია, კიცხვა და ლანძღვა, თუ არა მეუღლეთა ორგანმა? აიღეთ თუნდა მთელის ხუთის წლის კიცხვა, კილვა და ლანძღვა ჩემი. რითია იგი გამოწვეული და სავსე, თუ არა პირადობით? პრინციპიალური მხარე დიოგენის ფარნითაც რომ ეძებო, ვერ იპოვნით შიგ. რამდენს უკითხავს ჩემთვის, ერთი ამიხსენით, რამ ააყაყანა „კვალის" რედაქცია შენ წინააღმდეგ და რაში არ გეთანხმებაო? თვითონ სათაურები წერილისა მოწამეა პოლემიკის პირადის ხასიათისა. იაკობ სიმონიძე და მისი ვალიარო, იაკობ გოგებაშვილი და მისი ხუხულა, იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი „ნაცნობი" და სხვანი და სხვანი. ოცობით და ორმოცობით „კვალის" მიერ დაწერილს წერილებში ჩემს წინააღმდეგ ვერ მოსძებნით ვერც ერთსა, რომელსაც საგნებრივი სახელი ერქვას. პირადს სათაურს ყოველთვის მოსდევდა პირადივე შინაარსი. ჩვენს საპასუხო წერილებში-კი ვერც ერთს ვერ დავასახელებ იმისთანას, რომელსაც პირადი სახელი ერქვას და პირადი შინაარსისა იყოს. მოსაგერებელ ანტიკრიტიკას ჩვენ ყოველთვის ვხმარობდით და ვხმარობთ საკითხების გამოსაკვლევად, ვიბრძოდით საბუთებით და ფაქტებით და თუ პოლემიკურს სტრიქონებს გავურევდით ხოლმე, ისიც ხილად და იმისთანაებს, რომელნიც ახასიათებდნენ ბ-ნი გიორგი წერეთელს, როგორც ლიტერატორისას, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედისას და არა როგორც კერძო პირს, ოჯახის პატრონს. აგრეთვე, თუ ამ წერილში ვეხებით მისს მეუღლეს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს „კვალისას", ეს იმიტომ, რომ იგი დიდს მონაწილეობას იღებს პოლემიკაში, დაუღალავად უმატებს მუგუზლებს ცეცხლში, და ძლიერა სწყინს, როცა ფიქტიურ რედაქტორად რაცხვენ და უყურადღებოდ სტოვებენ. როცა შარშან „კვალმა" შეურაცხყოფა მიაყენა თ. დიმ. ერისთავსა და ამან მოსთხოვა დაკმაყოფილება ბ-ნს გიორგი წერეთელს, უკანასკნელმა უპასუხა: მე რას მერჩი, მე მხოლოდ უბრალო შემთხვევითი თანამშრომელი ვარ, გაზეთს თავისი რედაქტორ-გამომცემელი ჰყავს, მას მიმართეთო. ჩინებული მდგომარეობა შეჰქმნა თავისათვის ბ ნმა გიორგი წერეთელმა. როცა „კვალში" გაკეთდება რამე, იგი გაიძახის: მე გახლავარ ბიჭიო; როცა გაფუჭდება, გაიშვერს თითს პატივცემულის ანასტასია მიხეილის ასულისაკენ და გეტყვით: სულ ეს არის, რაც არისო. უცხო სურათია, თუ თქვენც დამეთანხმებით, მკითხველო...

თვითონ „კვალი"-კი, სხვების პირადობას ისეთი საკადნიეროთ ეპყრობა, რომ კაცს გოლცებიდგან გამოიყვანს. შორს რომ არ წავიდეთ, დავასახელებთ სულ უახლეს მისს უკადრისს საქციელსა. ამ დღეებში მან „ცნობის ფურცლის" რედაქციაზედ სთქვა, რომ იგი შესდგება ზნეწამხდარი პირებისაგანაო. და ასეთის ლანძღვის მოყვარული ბედავს ნიანგის ცრემლები ღვაროს ჩვენის ლიტერატურის დაცემაზედ. კიდევ კარგი, რომ შეურაცხყოფილმა რედაქციამ იობის მოთმენა გამოიჩინა და არ მოიქცა შესაბამად ძველებურის პრინციპისა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. თორემ ლანძღვის მოტრფიალეს ბევრი ძმარი ედინებოდა ცხვირიდგან. ასე, რომ თუ ვისიმე პოლემიკა არის უღირსი და უკადრისი, ეს უპირველესად ყოვლისა, „კვალის" პოლემიკაა. ამის გამო ყველას სრული საბუთი აქვს უთხრას ამ შემთხვევაში რედაქციას: **Чѣмъ кумушекъ считать трудиться, не лучше-ли на себя, кума, оборотиться.**

„კვალის" მმართველნი თავისს თავს სრულს ნებას აძლევენ პირადი ჯავრი იყარონ ჩემზედ და ჩემს წიგ-

მა ბ. ი. სტატკოვსკიმ თხოვნა შეიტანა სამსახურიდგან გადადგომისა. ბ-ნ სტატკოვსკის ადგილას დანიშნულ იქმნება ინჟენერი ფლორინი, კიევის ოლქის გზათა უფროსი.

⁂ გუშინ ტფილისს ჩამოვიდა სურამიდგან ჯარი, რომელიც ვერაზედ დაბინავდა საალლუმოდ. ვერაზედვე ამ დღეებში მოელიან ჯარის სხვა და-სხვა ნაწილს. ალლუმისათვის შეგროვდება 35,000 კაცი.

⁂ ტფილისის ქარხნებმა უკვე შეასრულეს რკინის გზის ხიდების გაკეთება და ამ დღეებში ხუთი ხიდი რკინის გზით გაგზავნეს სად. მოლითსა, მარელისსა და ბელაგორს. ამ ხიდებს დასდგავენ ახალ გზაზედ, რომელიც გააკეთეს 1895 წ. შემოდგომის ნიაღვრებისაგან წახდენილ რკინის გზის ალაგას სად. მოლითსა და ყვირილას შუა.

⁂ ენკენისთვიდგან დაიწყება მოქმედება ახალის დებულებისა სომეხთა სამრევლო სკოლების შესახებ. დებულება შედგენილია შინაგან საქმეთა და საერო განათლების სამინისტროების მიერ.

⁂ 5 აგვისტოს ტფილისში მცხოვრებ ფრანგთ კრება ჰქონდათ მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, თუ როგორ იდღესასწაულონ ტფილისში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში ჩამოსვლა. ფრანგთა ახალშენმა დაადგინა, ბ-ნ პრეზიდენტს დეპეშით სალამი გაუგზავნონ, ბ-ნ პრეზიდენტის რუსეთში ყოფნის დროს ფრანგთა მაღაზიები დროშებით შეამკონ და საღამოთი ჩირაღდანი გაჰმართონ.

⁂ საფრანგეთის ექს-იმპერატრიცას ევგენიას 16 აგვისტოს ქ. ზუგდიდში მოელიან. გუშინ ტფილისიდგან გაგზავნეს შუშხუნები და საჩირაღდნო რაგინდარები.

⁂ დ. სოჭი. აქ პირველს აგვისტოს მდინარეში ჰბანაობდა 18 წლის ყმაწვილი კაცი ერასტო პეტრეს ძე ქაჯაია. მდინარემ ზღვაში შეიტაცა საბრალო და 15 წამის განმავლობაში დაარჩო, ჩქარა გამოიტანეს ზღვიდგან, მაგრამ ექიმებმა ველარა უშველეს რა.

⁂ სოფ. ქვემო მაჩხაანი: ამ დღეებში ათთიაქის პატრონის კურცხალიას ცოლმა უწყალოდ სცემა სახალხო ავადმყოფობისაგან მიხრწნეულს ევა ჭუჭულაშვილისას, რომელმაც წამალი იყიდა და ხურდას ითხოვდა. სახალხოდვე სცემა რკინის ნიჩბით ამავ ქალბატონმა ხანში შესულ კონია ყოჩიაშვილისას. ცემა-ტყეპა მოუვიდა თვით კურცხალიას რამდენსამე გლეხთან; მიჰმართა „სუდს“ კურცხალიამ, მაგრამ კურცხალია ვე იქმნა გამტყუნებული, რადგანაც მეტის-მეტად უზრდელად და არა ადამიანურად ეპყრობიან ცოლქმარნი მდაბიო ხალხს, რის გამოც ხალხი უჩივის ყოველდღე ამათ.

⁂ ქიზიყი. წელს სულადის მოსავალი საშუალოა. კალოებში წითელ-ყვითლად გაჰლუიან ხორბალ-ქერის ხვავები, მაგრამ ჭიანჭველას გროვასავით მიმოდიან ვაჭარ-მოვახშეები და ბზის ფასად ეზიდებიან და აქრობენ იმ გლეხის სისხლის ოფლით მონაგრებულ ხვავებს ორ ლიტრიანი ჩანახებით. ნეტა ვიცოდეთ: სადა ბრძანდებიან ჩვენი მამასახლისები?.. მეტის სიცხე-პაპანაქებისაგან ცუდი „მოარულიანი ჰავა“ გახლავთ და სწორედ მუნჯობით და თვალთა ხედვის ბინდით იქნებიან ავად... დიდის მადლობის ღირსია მხოლოდ ზემო-მაჩხაანის მამასახლისი ბ-ნი დავით ბოსტანიშვილი, რომელმაც თავისის სოფლის კალოზედ ექვსი სომეხ-ვაჭრის და „ფოდრიაჩიკ“ ოთაროვის 16—17 გირვანქიანი ლიტრა დაატყვევა და ბ-ნს მაზრის უფროს აუწყა. ბევრჯერ ამგვარ ორლიტრიანებით თავიანსა სწყავენ ვაჭრები და გამოდის, რომ წინადღითვე გაჭირებულებისაგან ჩალის ფასად დაკვეთილ სულადს სამლიტრიან ჩანახითაც იღებენ! ტფილისში თითქმის ყოველ ნაბიჯზედ დამპალ სელდებს ოქროს ფასად ჰყიდიან და კახეთ-ქიზიყში-კი ოქროს სულადს ბზის ფასად აქლიავებენ!.. ეჰ, მახლას! ჩვენც ვიტყვით, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამლევში ვცხოვრობთო რაღა!..

⁂ სოფ. გავთიხევში (გორის მაზრა), როგორც იქიდგან გვატყობინებენ, საშინლად თურმე მძვინვარებს ყვავილი, ქუნთრუშა და ციებ-ცხელება. დღე ისე არ გავა, რომ ორი და სამი არ იმსხვერპლოს. პატრონი არავინ არის, რომ ექიმი მოიწვიოს.

⁂ 5 აგვისტოს ბეითალის მიხეილ გეორგიზონის სადგომში, ალექსანდრეს ქუჩაზედ, ამაშუკელის სახლში, ქუჩიდგან ფანჯარაზედ გადასულან და წაუღიათ: სპარსული ხალიჩა, წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენი, მედლები, პიცმუნდირი და ტანთ-საცმელი სულ 150 მან. გუმანი არავისზედ არ არის მიტანილი.

⁂ 6 აგვისტოს, დილის 8 საათზედ, ტფილისის მოქალაქემ გიორგი ქველიძემ, რომელიც ძალიან გაბოროტებული იყო ცოლზედ, რადგან იმას ცუდი ყოფა-ქცევა ჰქონდა და ამითი ქმარს შეურაცხყოფდა, დანა დაარტყა თავისს ცოლს მარიამს და სამგან დასჭრა—მკერდსა და ხელში. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო გიორგი ქველიძეს, რომელიც ქალაქში წავიდა, პოლიცია დაეძებს დასაპატიმრებლად.

⁂ 5 აპრილს გლეხმა გიორგი მატიღიოვმა სიტყვიერად გამოუცხადა მესამე ნაწილის პოლიციის ბოქაულს, რომ დილის 6 საათზედ ჩემს სადგომში, რომელიც ისყნერის ქუჩაზედ იმყოფება, კარი გაუტეხიათ ჩემს შინ არ ყოფნის დროს და გაუტანიათ 100 მან. ფულად და სხვა-და-სხვა ავეჯი 300 მანეთისა. ბოქაულის თანაშემწის ბოხის ალმასრულებელმა გედევანიშვილმა მაშინვე გამოიძია ეს საქმე და პოლიციის მოხელეებმა კოლკანოვიჩმა და ბასილოვმა დაიჭირეს ქურდი ერთი თათრის მოედანზედ და მეორე—კოჯორის გზაზედ. დამნაშავენი აღმოჩნდნენ: სტავროპოლის გუბერნიის გლეხი ჭუსეინ-ნუდაა-აბდულ-ოღლი მამედოვი და სათადარიგო ჯარის-კაცი თეოდორე ლებთონანი, რომელთაც აღმოაჩნდა 38 მან. 91 კაპ. ფულად, ოქროს საათი ძეწკვით და სხვა ნივთები მატილიოვისა. ამათ აღიარეს თავისი დანაშაული. მესამე ამხანაგი მეგრელი ქუთაისის მცხოვრებელი დომენტი სიმონის ძე კუჩ-ცხაიას დააპატიმრეს რკინის გზის სადგურზედ, საიდგანაც სამშობლოში წასვლას აპირებდა. ამასაც უპოვნეს მატილიოვის ორი ვერცხლის საათი.

—

**შეცდომის გასწორება**

—

მე 160 №-ში დაბეჭდილ „საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში“ ბოლოდგან მერვე სტრიქონზედ დაბეჭდილია „ლევიცკის მეთოდი გაარცრუა“ უნდა იყოს „ლევიცკის მეთოდი გააცურა“. შეცდომით დაბეჭდილ იყო „პედაგოგიური კურსები თავდება 10-აგვისტოს,“ უნდა იყოს „პედაგოგიური კურსები თავდება 18-აგვისტოს“.

† თავ. დ. ი. ავალიშვილი

6 ამ თვეს გარდაიცვალა, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, დირექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა თავ. დ. ი. ავალიშვილი. განსვენებული ბანკს ემსახურებოდა თითქმის დაარსებიდგანვე, ხან როგორც დირექტორი, ხან როგორც წევრი ზედამხედველ კომიტეტისა. ერთგული, მუყაითი მოსამსახურე, მცოდნე საქმისა თ. ავალიშვილი გულ-მხურვალედ ეკიდებოდა ბანკის საქმეს და ამიტომ მისი გარდაცვალება დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ბანკისთვის.

**ორიოდე სიტყვა**

(ინჟენერ რომანოვის მოხსენების გამო კახეთის რკინის გზის მიმართულების შესახებ).

გაზეთის „ივერიის“ მე-150-№-ის ახალ ამბავში ამოვიკითხეთ კახეთის რკინის გზის მიმართულების გამოსაკვლევად ყოფილ ინჟენერ რომანოვის მოხსენება და, სწორედ მოგახსენოთ, მოხსენების დასკვნამ ძლიერ და ძლიერ გაგვაკვირვა. „კახეთში რკინის გზას გასაყვანად ერთად-ერთი მიმართულება-ღა (?) დარჩენია, სახელდობრ ყარაიაზის მხარეო“, აი დასკვნა რომანოვის გამოკვლევისა.

ჯერ ჯერობით ძნელია გადაწყვეტით ითქვას რომანოვის მიერ აღნიშნული ერთად-ერთი-ღა (?) დარჩენილი კახეთის რკინის გზის მიმართულება მიღებულ იქმნება თუ არა, მაინც-კი არ შეგვიძლიან ბ-ნ ნადიკვრელთან (იხ. „ივერია“ №-149) ერთად გულ ამოსკვნით არ გავიმეოროთ: „ვისთვის და რისთვის კეთდება „კახეთის რკინის გზა“? თუ მართლა თავად აზნაურობის მიერ გამოკვლეული გზის მიმართულება გზის მართებლობას უხეიროდ უცვნია, ახალი გამოკვლევა ხომ უფრო

---

ნებზედ, მე-კი მიკრძალვენ გამოსარჩლებასა. ვის გაუგონიაო კრიტიკოსს გამოედაოს ავტორი რომელიმე ლიტერატურულის ნაწარმოებისაო. ამას სალიტერატურო ეთიკა ვერ შეიწყნარებსო. სამართლიანს და მართებულს გამოსარჩლებას ავტორისას ყოველთვის იწყნარებდა და იწყნარებს ეთიკა; მაგრამ იგი იმას-კი ჰგმობდა და ჰგმობს, როდესაც პირადი ბოროტება ამოქმედებს რომელიმე მწერლის კალამსა. სალიტერატურო ეთიკა მისაბაძავად მიუთითებს ამ შემთხვევაში შემდეგ მაგალითსა. წარსულს საუკუნეში საფრანგეთში ორნი ლიტერატორნი, დიდი ხნის მეგობარნი ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ერთმა მეორე დღესვე გამოაცხადა გაზეთებში: „მე წავეჩხუბე ამა და ამ ჩემს მეგობარს და ამის შემდეგ ნულარავინ დამიჯერებთ მის შესახებ, ვინიცობაა ღმერთი გამიწყრა, სულმა წამძლია და ცუდი რამე დავბეჭდეო. იცოდეთ, რომ ეს ცუდი იქმნება ნაყოფი პირადი სიბრაზისა, რომელიც არის წყარო ყოველის უკადრისობისა და უსამართლობისაო“. აი რას გვასწავებს ნამდვილი ლიტერატურული მაგალითი და ეთიკა. ხოლო რა გაკადნიერებით არღვევს „კვალის“ რედაქცია ამ კეთილ შობილს ეთიკას ჩემს შესახებ და სხვების შესახებაც, ეს მკითხველმა კარგად იცის.

„კვალის“ ვაჟბატონი მოგაგონებს იმ მეთევზესა, რომელსაც სული მისდიოდა ბევრი თევზის დაჭერისათვის, მაგრამ ფეხების დასველებისა-კი ძლიერ ეშინოდა. კიცხვა და კილვა სხვისი მას ძლიერ იამება, ცრუ ინსინუაციებს ორივე ხელით სთესავს; მაგრამ სამაგიეროს მოლოდინი-კი მას აძრწუნებს და ათრთოლებს. ვსწერთ ამასაო, ამბობს იგი, და თან მეშინიან, ქელენჯის ქარები მაჩნდებაო, ვაი თუ ჩვენი მოწინააღმდეგე ჩვენ კადნიერად შეგვეხოსო. შეხებაც გახლავს და შეხებაც. ცილის წამებით შეხება არცხვენს თვით ცილის მწამებელს და ამაღლებს საზოგადოების თვალში ტყუილად დაწამებულსა. წინააღმდეგ ამისა სამართლიანი გამოაშკარავება რომელიმე ცოდვილი ლიტერატურულის ფიზიონომიისა მართლა საშიშარია მისთვის, რადგანაც ამითი მას სამარე ეთხრება მკითხველთა თვალში. ცხადია, ვაჟბატონს ეშინიან მწარე ჭეშმარიტების გამოქვეყნებისა და წინადვე სურს აღძრას სიბრალული გულ-უბრყვილო მკითხველში, რათა მუქთა ადვოკატი მოიპოვოს იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ჰაობში ღრმად ჩაეფლას და საკუთარი ძალით ამოსვლა ველარ შესძლოს.

II

რას უწუნებს რედაქცია მოთხრობასა? იგი ცდილობს მკითხველს ჩააგონოს, რომ თემა მოთხრობისა შეუძლებელია. რა დასაჯერებელიაო, რომ თორმეტის წლის ინგილო გოგოს, ისიც გლეხის შვილსა, გამოეჩინოსო იმდენი უშიშრობა, რომ ზევით ხიდგან დაეზილოს ერთი ბლუჯა ქლიავი მეფე ერეკლესათვის, რომელიც მას ჰგონებია ყიზილბაში, სპარსელი, რადგან ქართულის ქუდის მაგივრად თავზედ სპარსული ჩალმა ხურებია.—რედაქციის საუბედუროდ, ეს ამბავი არამც თუ შესაძლებელია, არამედ ნამდვილ ისტორიულ ფაქტად უნდა იქმნას აღიარებული. ეს თქმულება ძლიერ გავრცელებულია ქიზიყში და არა ერთს ქართველს ინტელიგენტს გაუგონია იგი. გარდა ამისა იგი, როგორც მომხდარი ფაქტი, მოჰყავს ალექსანდრე ორბელიანს ერთს თავისს წერილში, რომელიც დაიბეჭდა რამდენისამე წლის წინედ „ივერიაში“. მას ეს ამბავი უნდა გაეგონა თავისი დედისაგან, თეკლე ბატონიშვილისაგან, ხოლო ეს თეკლე ბატონიშვილი იყო უსაყვარლესი ქალი მეფე ერეკლესი, რომელიც მას თეკლე-ბიჭს ეძახდა, რადგანაც ვაჟკაცურს გამბედაობას იჩენდა თოფ-იარაღის ხმარებაში და ზოგს სხვა საქმეშიაცა. როცა ხალხის თქმულება და სამეფო გვარეულობის გადმოცემა ერთხმივ ემოწმებიან რომელსამე ამბავსა, არ შეიძლება არ ვირწმუნოთ იგი ჩვენ და არ მივიჩნიოთ ნამდვილ ისტორიულ ფაქტად. რა საკვირველია, უბრალო, ჩვეულებრივი კალაპოტის გოგოსათვის ესეთი გაბედულება და უნარი შეუძლებელია. მაგრამ განსაკუთრებულის ხასიათისაგან-კი სრულიად მოსალოდნელია. ყველა გარემოებიდგან სჩანს, რომ ინგილო გოგო იყო დაჯილდოებული ბუნებით სწორედ ამ განსაკუთრებულის გამბედაობით და მისი მოქმედება არ განიზომება ყოველ-დღიური ტიპით, ჩვეულებრივი ალაბით. რაც ჟანნა-დეარკმა უშიშრობა და გამბედაობა გამოიჩინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა სხვა ფრანგ-ქალებისათვის. ხოლო სხვებისათვის შეუძლებელი მან სისრულეში მოიყვანა, რადგანაც ბუნებას მისთვის მიეჩიქებინა მაღალი ხასიათი, ძლიერ იშვიათი უნარი და შეუპოვრობა. ცნობილ მეცნიერთა ლოგიკას რომ მივჰყვეთ, ჟანნა დეარკის ისტორია არაკად უნდა ჩავთვალოთ. შეუძლებელ არაკადვე უნდა მივიჩნიოთ აკაკის ნათელას წასვლა მონგოლთ ურდოში, ნოინის კარავში გამოცხადება და მთელი მისი თავგადასავალი.

საზოგადოდ, ხალხის თვალს, გონებას და ფანტაზიას ჩვეულებრივს კალაპოტზედ ჩამოსხმული ადამიანი ვერ იზიდამს. რათა თქმულების საგნად გახდეს ხალხის პირში ვაჟი თუ ქალი, იგი უნდა იყოს არა ჩვეულებრივის ხასიათისა, მაღალი სულის პატრონი და ჩამდენი იშვიათის საქმისა, ღვაწლისა. ეს ანბანური ჭეშმარიტება წინედ „კვალის“ რედაქციამაც იცოდა, მაგრამ ახლა ესეც დავიწყებია ალბად ბრმა სიბრაზის მეოხებით.

ჩვენი კრიტიკანების აზრით ყველაზედ ძნელი დასაჯერებელი ის არის, რომ ინგილო გოგოს გული არ გაუსქდა და ხეხილიდგან ძირს ზღართა არ მოიღო, როცა ერეკლე მეფის მხლებლებმა შეუტიეს და მოსთხოვეს ძირს ჩამოსვლა და ბოდიშის მოხდა. მათ ავიწყდებათ, რომ ვინც დიდი გაბედულობა გამოიჩინა, იმას მცირე გაბედულობაც ადვილად შეუძლიან. უდიდესი გაბედულობა ინგილო გოგომ პირველი თვისი ნაბიჯით დაგვანახვა, როდესაც მთელი ბლუჯა ქლიავი დააზილა ხიდგან ერეკლე მეფეს, რომელიც ყიზილბაში ეგონა. გოგო ხედავს თავის ახლოს შეიარაღებულს სპარსელს თათარს, მტერს ქართველებისას,—ეს მტერი ზის ბედაურზედ, შეიარაღებულია თავით ფეხამდე, მას შეუძლიან თოფი მოიგდოს ხელში, სტყორცნოს ტყვია და ხიდგან მკვდარი ჩამოაგდოს. მაგრამ იგი, გატაცებული თავისი გულის ძლიერი მოძრაობით, უშიშრად აზელს თავში ქლიავებსა. ვიმეორებ, ეს ადგილი ჩემი მოთხრობისა, ეს სათავე მთელის ამბისა, ისტორიული ფაქტია დ უშიშრობით და გაბედულობით კი ბევრით მაღლა სდგას შემდეგს ბელეტრისტულს ამბებზედ. მხლებლების შეტევა ამის ნახევრადაც ვერ შეაშინებდა პატარა ქალსა. მხლებელნი იყვნენ ჩაცმულნი ქართულად, ქუდებიც ქართული ეხურათ და ქალს ელაპარაკებოდნენ

და უფრო უვარგისი და ყოვლად გამოუსადეგარია მთლად კახეთისთვის; რასაკვირველია, თუ გზა მართლა კახეთისათვის კეთდება და, ბ-ნ ნადიკვრელის თქმისა არ იყოს, არა ერთისა და ორის კერძო კაცისათვის. წინასწარმეტყველობა არ არის საჭირო, წინ და წინვე გადაჭრით ვთქვათ, რომ რომანოვის მიერ აღნიშნულ გზით კახეთი ან სრულიად არ ისარგებლებს და ან, თუ ისარგებლებს, ძლიერ მცირედი ნაწილი კახეთისა, თუმცა უკანასკნელიც საეჭვოდ მიგვაჩნია. ან რა ხელს მისცემს კახეთს ერთი სამად გაგრძელებულს გზაზედ სიარული, როცა უფრო მარჯვე და იაფი ჯეროვანი გზა ტკეცილები აქვს.

ყარაიაზის მხარეს გაყვანილი გზა მთელს შიდა კახეთის მცხოვრებლებს ტფილისის გზას ერთი ორად და სამად უგრძელებს და არც მისვლა მოსვლის და არც საჭირო საქონლის გადასატან-ფასს შეუმცირებს. თუ გზა მისვლა-მოსვლას არ გააადვილებ-გაიიაფებს, რაღა თქმა უნდა, რომ იგი ყოვლად უმნიშვნელო და, თუ არ შემრისხავენ, უაზროც არის. ნურავინ იფიქრებს, რომ აქაოდა რკინის გზა იქნება, ხალხი იმისს სიადვილე-სიმარჯვეს არ მიჰხედავს და უეჭველად მიეტანებაო. ეს ბავშვური თავის მოტყუება იქნება, რადგან, ღვთით, ჩვენი ხალხიც ძლიერ კარგად აფასებს როგორც დროს, აგრეთვე უაზროდ საჭიროზედ მეტის საფასურის გაღებასაც.

გარდა ამისა, არა გვგონია თვით გზისათვისაც-კი სასარგებლო იყოს მომეტებულ ნაწილად ცალიერ ვაგონების წინ და უკან დრიგინი! იმ მიმართულების გზას ეს გარემოება არ ასცდება. გასაოცარი უფრო ის არის, რომ კახეთისა და ტფილისს შორის ადგილ-მდებარეობის გამომკვლევართ გზისათვის ისეთი ეხლ საყრელი და სასარგებლო მიმართულება ვერ უპოვიათ, რომ გზას მართლა კახეთის გზა ეწოდოს და სახელთან ერთად სახრავადაც ივარგოს.

თუ მართლა ტფილის-კახეთ შუა მდებარე ადგილები ისეთი უხერხული და უვარგისია გზის ჯეროვან მიმართულებისათვის და თვით თავად-აზნაურთა მიერ აღნიშნული შედარებით კახეთისათვის უფრო სასარგებლო გზის მიმართულება უვარგისად უცვნია ამიერ კავკასიის გზის მართველობას, მაშინ არ შევიძლიან ამ გზის მართველებს საზოგადოდ და კერძოდ კახეთის რკინის გზის გამომკვლეველთ სრული გამოუცდელობა და საკვლევი ადგილ-მდებარეობის ყოვლად უმეცრება არ მიულოცოთ. მაშ რა ჭკუაში მოსასვლელია კახეთში მოსვლისათვის, 100 ვერსის მაგიერ, 250 ვერსზედ მოვლა? საზოგადოდ ყველგან მიღებულია, რომ როცა კი ახალის გზის გაყვანას განიზრახავენ, საჭირო მიმართულების გამოკვლევის დაწყებამდე, ჟურნალ-გაზეთების შემწეობით, ადგილობრივ მდებარეობისა და მცხოვრებელთა საჭიროების ცნობებს მცოდნე კაცების დახმარებით შეჰკრეფენ ხოლმე და როცა იმ მხრის შესახებ, რომლისათვისაც დანიშნულია გზა, ყოველი ცნობები შეიკრიბება, მხოლოდ მაშინ და შეუდგებიან ხოლმე გზის მიმართულების გამოკვლევას. ასეა ყველგან და ასე უნდა იყოს ჩვენშიაც, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში რაც კი კარგი და რიგიანი კეთდება ან მკეთებელის გასასუქებლად და ან რამდენიმე კერძო კაცის გასაძლიერებლად. უმრავლესობა ყოველთვის უყურადღებოდა რჩება. რადა, რისთვის, ვის რა ყანა წავუხდინეთ? ამის გამო ლაპარაკი აქ მოუხერხებელი და უადგოა, მით უფრო, რომ მიზეზი მეტად ცხადია.

თუ ეს არა, როგორ დავიჯეროთ, რომ სხვა, შედარებით უფრო ხელსაყრელი როგორც კახეთისათვისა, აგრეთვე გზისათვისაც, მიმართულება გზის მკვლევველთ გამოჰპარიათ და კახეთის გზის ერთად-ერთი მიმართულება და ყარაიაზის უდაბური ადგილები ულიარებიათ... ნუ თუ მართლა თავად აზნაურთა გამოკვლეული გზის მიმართულება არაფრად ვარგა? მაგრამ ამ მიმართულებას ხომ სახეში მთელი შიდა და გარე კახეთის სარგებლობა ჰქონდა. იმის გამოსარკვევად, რამდენად მართალია რომანოვის თითქმის გადაჭრილი დასკვნა, ჩვენ აღვნიშნავთ ერთს მიმართულებას, რომელიც ყოველ მხრივ უფრო უკეთესია რომანოვის გადაჭრილს მიმართულებაზედ როგორც კახეთისა, აგრეთვე გზისათვისაც. გზა უნდა დაიწყოს სადგურ ავჭალიდგან, აქედამ გზა ჩრდილოეთისაკენ არაგვის მარცხენა დავაკებულს ნაპირზედ სოფ. ახატანამდე ამოვა, შემოუხვევს ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ, გადმოივლის ერწოზედ და ხევ-გრძელას ხეობით ჩამოვა სოფ. ახმეტამდე. ახმეტიდგან-კი პირდაპირ დაეშვება, გაივლის შიდა კახეთს და ჩავა სოფ. ხირსაში. ხირსიდგან გზამ უნდა გაიაროს ქიზიყზედ, ქიზიყიდგან ადვილად შესაძლებელია გზა პირ-იქით კახეთის სოფლებზედ გავიდეს და ამიერ-კავკასიის სადგურ ნავთლუხში მივიდეს, თუ გარე კახეთის მცხოვრებთა უდაბურ ადგილის მსხვერპლად შეწირვა არ უნდათ გზის გამკეთებელთ. ეს მიმართულება შიდა კახეთს გზას სრულიადაც არ უგრძელებს. დღეს თელავიდგან ტფილისამდე ითვლება 96 ვერსი, მაშინ ტფილისიდგან ავჭალასა, არაგვის ხეობა-ერწო-ახმეტაზედ წამოსული გზა იქნება სულ 100 ვერსი და არა მეტი.

ხსენებული მიმართულება მით უფრო ხელ-საყრელია, რომ მთელი გზა დაცემულს მინდორ-ხეობაზედ წამოვა და, კახეთის გარდა, დიდს სარგებლობას მოუტანს თვით არაგვის ხეობის თერთმეტს სოფელს, სადაც 400 კომლზე მეტი მცხოვრები ითვლება და ერწო თიანეთის მაზრასაც. კახეთის გზის ამგვარი მიმართულება იმიტომ-კი არ აღვნიშნეთ, რომ იგი იყოს ყველაზედ საუკეთესო და სასარგებლო, არამედ როგორც მივიწყებული და რომანოვის მიერ გამოკვლეულს მიმართულებაზედ გაცილებით უკეთესი.

ვიმეორებთ, ნაჩვენებს ადგილ სოფლებზედ გატარებული რკინის გზა უცილობელს სარგებლობას მოუტანს დუშეთის მაზრის ნაწილს, თიანეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებს და ტფილისის მაზრის სართი-ჭალის საბოქაულოს სოფლებს.

თვით გზის გაყვანაც ადვილია, რადგან გზა, როგორც უკვე ვთქვით, ვაკე მინდორ-ხეობაზედ გამოივლის და დიდ აღმართ-დაღმართების შევაკება არ დასჭირდება. მთები ხომ ამ გზაზედ სულ არ არის. ვიდრე კიდევ დროა და კახეთის რკინის გზის მიმართულება ჯერ საბოლოვოდ არ არის გადაწყვეტილი, საჭიროა ყველამ, ვისაც-კი შეუძლიან და იცის გზისათვის უფრო საუკეთესო მიმართულება, გაზეთში აღნიშნოს და ამით ჯეროვანი სამსახური გაუწიოს როგორც თვით კახეთს, აგრეთვე კახეთის გზის მკეთებელთ. საჭიროა წინადვე ყოველმხრივ აიწონ-დაიწონოს და ისე გამოირკვეს გზის მიმართულება, რომ გზამ მართლა და ჯეროვანი სარგებლობა მოუტანოს იმ მხარეს, რომლისათვისაც იგი კეთდება.

ი. კახელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბარალეთი**, (ახალ-ქალაქის მაზრა). გაზ. „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ცოტა ხანში კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გამოგზავნა გამოსაცდელად 40 მდე გუთანი სხვა-და-სხვა სოფელში. უკანასკნელად ეს გუთნები გამოსცადეს ჩვენს სოფელში დღეს, 3 აგვისტოს. რამდენისამე დღის წინად გამოცდის დღემდის ბ-ნმა მაზრის უფროსმა თ. გ. თარხან მოურავმა უბრძანა ბარალეთის საზოგადოების მამასახლისს, შეეკრიბა 3 აგვისტოსთვის ბარალეთის და ვარევანის საზოგადოებიდგან კომლზედ კაცი და აგრეთვე მზად ჰყოლოდა ამ დღისთვის ათი უღელი ხარი. 2 აგვისტოს საღამოს 6 საათზედ, ახალქალაქიდგან მოიტანეს ცხრა გუთანი სხვა-და-სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღების საწყობებიდგან (გენსი, ეკერტისა, სუფერმანისა, კრაუზესი და სხ.). მეორე დღეს, ესე იგი 3 აგვისტოს, დილით შეიკრიბა ხალხი, მათში ერივნენ აქაური მემამულეები, სოფლის მასწავლებლები, აქაურის ორ-კლასიანის სკოლის და აგრეთვე სხვა სასწავლებლების და საზაფხულოდ დასხოვნილი მოსწავლეები. 9 საათზედ მობრძანდნენ ტფილისიდგან ამ საქმისთვის გამოგზავნილნი: აგრონომები, მათ შორის ბ-ნი ტიმოფეევი, და ერთიც ოსტატი, ახალქალაქის დეპუტატი ბ-ნი არუთინოვი და სხვანი.

ჯერ პირველად გამოსცადეს ჩვენებური მამა-პაპეული გუთანი, რომელშიაც ება შვიდ უღელი ხარი, (სხვა დროს სულ ათი უღელი ხარი უბიათ და ექვსი მეხრე უზის). მერე გამოსცადეს ახლად მოტანილი რკინის გუთნები. მართალია, მდაბიო ხალხი ძლიერ სცდილობდა ისე მოეხნათ, რომ არ დაე-

---

მისს დედა-ენაზედ. მათში ქალი ხედავდა წმინდა ქართველებსა — თავისიანებსა. თუ იგი თათარს და მისს იარაღს არ შეუშინდა, როგორ შეუშინდებოდა ქართველთა სიტყვიერს მუქარასა? განა მას გონებაში არ გაუელვებდა ის აზრი, რომ ეს ჩვენებურები ისე, ყასიდად, მემუქრებიან, თორემ თათრის წყენისათვის როგორ გამომიმეტებენო?

ჩვენი ულმობელნი მეუღლენი ქალის წლოვანებაშიაც ხედვენ დაბრკოლებასა, შეუსაბამობასა. თორმეტის წლის გოგონა როგორ გამოიჩენდა ამისთანა გაბედულობასაო. ამის პასუხად ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა გადმომცა მე შემდეგი მსჯელობა მკითხველთა: რამდენმამე ქალმა ერთად თურმე წაიკითხა ჯერ მოთხრობა და მერე გაკილვა მისი „კვალში“ და ამ შენიშვნის შესახებ ასეთი აზრი წარმოსთქვა თურმე: იმაზედ პატარა რომ ყოფილიყო შეეშინდებოდა, იმაზედ დიდს შერცხვებოდაო და სწორედ თერთმეტ-თორმეტის წლის გოგოს შეუძლიან გამოიჩინოს ისეთი უნარი და უშიშრობა, თუ დაბადებიდგან მას დაჰყოლია კერპი, უშიშარი ხასიათიო, რადგან ამ ხნის გოგო, განთავისუფლებული ბავშური სიმხვდალისაგან, ჯერ ჩამდგარი არ არის ქალწულებრივს მორცხობაშიო. ჩვენის მხრივ ამ მსჯელობას არაფერს დაუმატებთ, რადგანაც იგი სავსებით გამოხატავს ჩვენს საკუთარს მოსაზრებას, რომლითაც ხელმძღვანელობდით, როცა ამ ადგილს მოთხრობისას ვსწერდით.

ქართველი ქალი ყოველთვის ცნობილი იყო მორცხობით, მოკრძალებით და ინგილო გოგო როგორ გამოიჩენდა იმისთანა კადნიერებასაო. ბარემ ესეც დაემატებინათ; ქართველი ქალი ხეზედ ასული ვის უნახავსო. ამ მორცხობას იგინი არ დაებღაუჭებოდნენ თუ არ დაივიწყებოდათ, რომ ქართველი ქალი წინედ, როცა-კი გარემოება მოითხოვდა, იჩენდა სწორედ ვაჟკაცურს უნარს და უშიშრობასა. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჯერ მეფე ერეკლეს ძლიერ უშიშარი ქალი, თეკლე ბიჭად წოდებული, მერე ანდრო ნიკაშვილის რძალი, რომელსაც წარსულის საუკუნის დამლევს, როცა თბილისიდგან მუხრანს მიდიოდა, მცხეთის ზევით ღართიკარში წინ გადაეღობა ლეკთა გუნდი, — მაგრამ მან მამაცად თავისი ჯარით იერიში მიიტანა და გაფანტა და ეს გამარჯვება ქართველის ქალისა მთელმა თბილისმა იდღესასწაულა ჩირაღდნებით და საერთო ლხინით. მესამედ მარიამ დედოფალი, მეფე გიორგის მეუღლე, რომელმაც ხანჯლით მოჰკლა ლაზარევი და მეოთხედ კახეთის აჯანღება ამ საუკუნის მეთერთმეტე წელში. ეს აჯანყება ვინ მოახდინა? ქართველმა გლეხის ქალმა, ქართველმა ქალებმა. ერთს მოკრთალე კახელს ქალზედ სალდათმა ძალა მიიტანა. შეურაცყოფილმა და გაალმასებულმა ქალმა ჩამოიღო კედლიდგან თოფიარაღი, შეისხა ტანზედ, მიიჭრა კაცების გროვასთან, მოხადა ქუდი თავისს ქმარსა, თავისი ლეჩაქი იმას მოახვია თავზედ, დაიხურა ქუდი და გაეშვა სალდათებისაკენ. მას მიჰყვნენ სხვა ქალები, მერმე კაცები და მთელი კახეთი აჯანყდა. ქართველის ქალის ამისთანა გაბედულობით სავსეა ჩვენი ისტორია და მეტადრე საინგილოს წარსული.

საინგილო, როგორც განაპირი კუთხე საქართველოსი, ხშირად იყო ბრძოლის თეატრად. მას ეტანებოდნენ, იჩემებდნენ ერთი მხრივ ლეკები, მეორე მხრივ სპარსელები, ყიზილბაშები. ქართველები, რასაკვირველია, არ ანებებდნენ. ბრძოლა იყო თითქმის განუწყვეტელი. ამ ბრძოლაში პირველი ადგილი ეჭირათ თვითონ ინგილოებს, რომელთაც თავის სიკვდილად მიაჩნდათ — მოსწყვეტოდნენ საქართველოს და გადაბირებულიყვნენ. მტერნი იყვნენ მრავალნი, ინგილონი მცირედნი, ქართლ-კახეთი შორს იყო. ხშირად ინგილოებს მარტო თავისი საკუთარი ძალით უნდა მოეგერებინათ ხოლმე მტერნი, რომელნიც ქურდულად დაესხმოდნენ ხოლმე თავსა და იკლებდნენ. ამ შემოსევის დროს მტარვალები ხშირად იტაცებდნენ ქალებსა, მეტადრე ლამაზებსა და ტყვედ მიჰყავდათ. ქვეყანა აოხრდებოდა და განადგურდებოდა, მამაკაცთა ძალას რომ არ მიშველებოდა ქალთა ძალა. თავისი ნამუსის, ოჯახის და ქვეყნის დასაცველად ინგილო ქალი გაუხდა თავისს ქმარს მეუღლეთ არა მარტო შინაობაში, არამედ ომშიაც. იმან ისწავლა მარჯვედ ხმარება თოფიარაღისა, ქალური ტანისამოსი გაიმარტივა, და კარზედ მიმხდარს მტერს დაუხვდებოდა ხოლმე ხანჯლით და ტყვია წამლით. ამ სასტიკ გარემოებაში იზრდებოდა ინგილო ქალი დაბადებიდგან და ხასიათიც შესაფერად ეცვლებოდა. ამან დააკარგვინა მას ქართველის ქალის სიკეკლუცე; მაგრამ სამაგიეროდ მიანიჭა თითქმის ვაჟ-კაცური ძალღონე და გამბედაობა. ახლაც ინგილო ქალი უშიშრობით ბევრათ მაღლა სდგას არამც თუ ქართველს ქალებზედ, არამედ ლეკის ქალებზედაც. ამისთანა ნიადაგზედ აღმოცენება და გაზრდა იმისთანა გამბედავის ქალისა, როგორიც არის ჩვენი ინგილო გოგო, არამც თუ შესაძლებელია, აუცილებელიც არის. თუ ეს წარსული საინგილოსი არ იცის ბ მა გიორგი წერეთელმა, რიღას ისტორიკოსი ყოფილა და თუ იცის და მაინც განზრახ გაიძახის თავისას, შაბაშ მისს ადამიანობასა და მამულიშვილობასა!..

ყველაზედ მეტად „კვალის“ პატრონებს არ ეპიტნავებათ ისა, რომ სასიქადულო ინგილო გოგო გლეხის შვილია. ჩვენს ინსტიტუტებსა და გიმნაზიებში თავად-აზნაურთა ქალები თელის თორმეტის წლის განმავლობაში იძენენ განათლებასა და მაინც ვერა სწავლობენ მამულიშვილობასაო და გლეხის, ტეტიას ქალმა, კერასთან გაზრდილმა, როგორ შეითვისა იმისთანა მხურვალე სიყვარული მამულისაო. უცხო ვინმენ რომ წაიკითხოს ეს სტრიქონები, ეგონება, რომ საქალო სასწავლებლებში პირველი ადგილი უჭირავს ქართულს ენასა, ლიტერატურასა, გეოგრაფიასა, ისტორიასა და მამულის სიყვარულის აღზრდას და აღორძინებასა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იქ სწავლას ასულდგმულებს და აცხოველებს სრულიად სხვა მიმართულება, სხვა მიზანი და დანიშნულება. ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინგილოშიაც უნდა აღორძინებინა. საზოგადოდ შენიშნულია, რომ განაპირა კუთხეები ქვეყნისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირი და ეროვნებას მეტი შიში მოელის, მამულის სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შუაგულს ადგილებში.

(დასასრული იქნება)

მცირათ თავიანთი საყვარელი ძველებური გუთანი, მაგრამ სურვილი გაუცრუვდათ. ახალმა გუთანმა დასძლია ჩვენი მამა პაპეული... ამ გუთანში აბამენ ოთხს უღელს და არა ათ უღელს, როგორც ჩვენში (უკლებლივ მძიმე გუთანს გენა № 4 ხუთი უღელი ხარი უნდა), უნდება, სამი მეხრე და არა ექვსი, როგორც ჩვენშია. და ხნავს უკეთესად, ვიდრე ჩვენი: სახნისი ჩვენს გუთანს სიგანით 7 გოჯი აქვს, რკინისას 10 (გენა № 1), სიღრმე ჩვენის გუთნის კვალს აქვს $5^3/_4$ გოჯი, სიგანე $9^1/_2$, რკინისას სიღრმე 6, სიგანე 10 გოჯი. კვალის სწორეთ გადაბრუნებაში და ბელტების დამტვრევაშიაც პირველობა რკინის გუთანს ეკუთვნის.

საათის ორზედ ხალხი დაიშალა. იმედია, რომ ეს გუთნები მალე გავრცელდება მდაბიო ხალხში. სხვა არა იყოს-რა, ექვსი უღელა ხარი და სამი კაცი ხომ დაეზოგება ყოველ-დღე, რაც, ფულად რომ ვსთქვათ, სულ ცოტა 5 მან. შეადგენს.

ამ ჟამად ორი გუთანი უკვე გაიყიდა აქეთ. ასეა ყოველი ახალი საქმე: ვის არ ახსოვს ის დრო, როდესაც რუსული ცელები პირველად შემოიღეს, რა აზრისა იყო მდაბიო ხალხი ამ ცელების შესახებ, ქართულ ცელებთან შედარებით, მაგრამ ეხლა კიდევ ნახავთ განა სადმე ქართულს ცელებს?

აქ ამ ჟამად კარგი დარი დგას, თივები და ქერები ითიბება და ღოლიც შეთეთრდა.

გიგო შატბერაშვილი

# რუსეთი

—

პეტერბურგი დიდს მზადებაშია, რომ კარგად დაუხვდეს საფრანგეთის პრეზიდენტს ფელიქს ფორს. ერთს ქარხანაში აკეთებენ მშვენიერს სინსა და სამარილეს, რომლითაც პეტერბურგის ვაჭრები პრეზიდენტს პურმარილს მიართმევენ. მოსკოვიდგან პეტერბურგს მოდის საგანგებო დეპუტაცია და თან მოაქვს მრავალი ძვირფასი საჩუქარი პრეზიდენტისათვის. ქალაქის საბჭოში შეიტანეს მოხსენება, რომ სერგის ქუჩაზედ გასამართავ ბულვარს პარიჟის ბულვარი დავარქვათო. პეტერბურგში ამ ჟამად იყიდება ხელცახოცები ფორის სურათითა და წარწერით „გაუმარჯოს საფრანგეთს“. ამბობენ, რომ პრეზიდენტის ფორის რუსეთში მოსვლის სახსოვრად პეტერბურგში დაარსდება „შრომის-მოყვარეთა სახლი“ განათლებულ ქალთა და კაცთათვის.

— გაზეთი „პრიაზოვსკი კრაი“ სწერს, რომ შემოდგომაზედ პეტერბურგში მიბრძანდება სომხეთა კათალიკოსი მკრტიჩ.

# დამაკვირდი

თუმცა ადამიანნი დიჩსნი არ არიან კეთილის ქმნისა, მაგრამ ჩემი საკუთარი ღირსება ამას მაიძულებს.

ვეისსი

***

სიმძიმეს ტვირთისას მოთმინება დაუმატე და იგი შემსუბუქდება.

ლოგო

***

ადამიანნი ხშირად კდემა-მოსილებითაც თავს იწონებენ.

პიერმონტი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბელგიის ერთს მწერალს, გენერალს დებრიალმონს გამოუანგარიშებია, რამდენი კაცი მოკლულა მეცხრამეტე საუკუნეში სხ.-და-სხვა სახელმწიფოთა შორის ომიანობის დროსა. 1 რესპუბლიკისა და იმპერიის დროს მომხდარ ბრძოლას შეუწირავს 5,000,000 კაცი; ყირიმის ომს—750,000; 1859 წ. იტალიის ომს—45,000; ამერიკის შეერთებულ შტატებში ომიანობამ იმსხვერპლა 320,000; ავსტრიასა და პრუსიის შორის ომმა—215,000; რუსეთსა და ოსმალეთს შორის უკანასკნელ ომის დროს დაიხოცა 250,000. ამას რომ მივუმატოთ რიცხვი კიდევ სხვა-და-სხვა ადგილებში ბრძოლის დროს დახოცილთა, შესდგება სულ 6,685,000 კაცი ამგვარად მეცხრამეტე საუკუნეში ყველა ომიანობის დროს ბრძოლის ველზედ დახოცილა სულ ერთი მეხუთედი იმისი, რაც ამავე დროს ხალხი მომკვდარა მთელის დედამიწის ზურგზედ.

* * *

ბორდოში ერთი ყმაწვილი კაცი ყოფილა 27 წლისა, რომელიც თურმე ერთს სავაჭრო კანტორაში მსახურობს. ჩვიდმეტის წლისა რომ გახდა ეს კაცი, უცნაურმა სურვილმა შეიპყრო—რა სიტყვას ანუ წინადადებას გაიგონებს, იმ წამსვე უნდა დასთვალოს თურმე, რამდენი ასოა ამ სიტყვაში ანუ წინადადებაში. საკვირველი ის არის, რომ ეს თვლა ამ კაცს სრულიად არა ჰღალავს, პირ-იქით თურმე კიდეც ესიამოვნება ეს ანგარიში და ასე ამბობს, არ შემიძლიან არ დავთვალო ასოები სიტყვას რომ გავიგონებ, ან წავიკითხავო. ვარჯიშობამ ისე შეაჩვია ანგარიშს, რომ, მაგალითად, რომ უთხრათ: „დღეს ძლიერ კარგი დარი არის“, იმ წამსვე გიპასუხებთ: „ოცდა-ორი“.

***

შინაურ საქონლის გამოფენებზედ ხშირად შეხვდება კაცი უზარ-მაზარ ცხოველს. ასეთს გამოფენაზედ, მაგალითად, ყოფილა ხარი, რომელსაც 100 და 110 ფუთი აუწონია. საზოგადოდ რუსეთის ხარი იწონს 25—30 ფუთს, ჩვენებური გაცილებით ნაკლებს. ინდოეთის სპილო 250 ფუთს იწონს თურმე. ამას წინად ამერიკაში ერთს გამოფენაზედ მოუყვანიათ ერთი ღორი, რომელიც 40 ფუთს იწონავს, ეს ღორი ეხლა ჯერ სულ 4 წლისაა. მცოდნე კაცები ამბობენ, რომ თუ კარგად გამოჰკვებეს ეს ღორი, ისე გასუქდება, რომ 60 ფუთს აიწონსო. ღორი 300 მანათად გაიყიდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 აგვისტო

**ქრისტიანია.** 5 აგვისტოს გამერფესტში მოსულმა გემმა „ლაფონტენმა“ ამბავი მოიტანა, რომ „ექსპრესის“ გემმა, რომელშიაც იმყოფება ლერნერის ექსპედიცია, შეიტყოო ტრომზედგან წასულ „ინგენბერგის“ გემისაგან: გამერფესტიდგან წასულმა თევზის დამჭერ გემის „ალკენის“ უფროსმა 80 გრად. 47 მინ. თოფით მოჰკლა ნორდკაპსა და შვიდ კუნძულს შუა ფოსტის მტრედი, რომელსაც აღმოაჩნდა დეპეშა და წერილი, „აფტონბლადეტ“-ში მიწერილი; დეპეშაში ეწერა: „გავიარე 82 გრადუსი პოლიუსისაკენ. ქარი ჩრდილოეთისაკენ ჰქრის და ხელს მიწყობს. ანდრე“. თვისა და რიცხვის ამოკითხვა შეუძლებელი იყო. გემის უფროსს არ უნდოდა დაენებებინა მტრედი და დეპეშა და განაგრძო გზა ჩრდილოეთისაკენ. გემის უფროსმა იცოდა, რა გზითაც უნდოდა ევლო ანდრეს და ძალიან გაიტაცა ამ საქმემ. „ექსპრესსა“ და ნორვეგიის მეორე გემს „კონგ-ხარალდს“, რომელიც აგრეთვე ჩრდილოეთის ოკეანეში იმყოფებოდა, გამერფესტში პარასკევს მოელიან.

**გამერფესტი.** ანდრეს მტრედს ჰქონდა დეპეშა გაზეთ „აფტონ ბლადეტ“-ისთვის და წერილი იმ კაცის სახელობაზედ, ვინც მტრედს იპოვნიდა. წერილში თხოვნაა გამოთქმული, რომ დეპეშა „აფტონ ბლადეტს“ გაუგზავნეთ და, ამას გარდა, გამოაქვეყნეთ ეს ცნობაო. „ექსპრესის“ გემი ამაოდ დაეძებდა „ალკენი“-ს გემს, რომელსაც გამერფესტში აგვისტოს დამლევს მოელიან.

**პარიჟი.** 5 აგვისტოს მინისტრებმა, პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, განიხილეს რამდენიმე ფელიქს ფორის რუსეთში მოგზაურობის შესახები საგანი. პრეზიდენტი გამოვა 6 აგვისტოს დილით პარიჟიდგან, წავა დიუნკირხენში და აქედგან რუსეთში გაემგზავრება გემით. ამ დროს თან ახლდებიან ჰანოტო, ადმირალი ჟერვე და ამალის სამხედრო და სამოქალაქო წოდების წარჩინებულნი. ჰანოტოს რუსეთში ყოფნის დროს გარეშე საქმეთა სამინისტროს საქმეებს მილინი განაგებს.

7 აგვისტო

**ლონდონი.** „Times“-ს სწერენ დეპეშით კონსტანტინეპოლიდგან, რომ ქურდისტონში უწესოებამ დააფიქრა და ამის გამო ბრძანება გასცა შეიარაღებულ იქმნენ აღმოსავლეთის ვილაიეტები.

**ლონდონი.** „Times“ ს დეპეშით სწერენ სიმლიდგან, რომ სვატის ხეობაში მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ორი ინგლისელი აფიცერი და დაჭრილია ერთი. ციხე ციმაგრიდგან განდევნილი ტომი 3000 კაცს შეადგენდა.

**პარიჟი.** 6 აგვისტოს ფორი წავიდა დიუნკირხენში, თან მისდევენ ჰანოტო, ბენარი და გენერალი ფრედერიქსი. დიდძალი ხალხი იძახდა ამ დროს „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს ფორს!

ფორის წასვლის შემდეგ 10 წუთმა რომ განვლო, მაჯენტას ბულვარზედ, სადგურის მახლობლად აფეთქება მოხდა. აფეთქებით არაფერი დაშავებულა, არავინ დაჭრილა და საზოგადოდ ამ შემთხვევას მნიშვნელობა არა აქვს. აფეთქდა პატარა მილი 30 სანტიმეტრის სიგრძე და 5 სანტიმეტრის სიგანე. მილი ვიღასაც დაედო ერთს ცალიერ დუქანში მაჯენტის ბულვარისა და ლაფაიეტის ქუჩის კუთხეში. მილი ნატეხები ქვაფენილს მოეფინა. ერთს ალაგას ქაღალდის ნაჭერი იპოვნეს. ზედ ეწერა: „გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს პოლონიას“!

**სიმლა.** აფრიდის ტომი იწევს იალუროსაკენ, ორაკსაიები ემუქრებიან სამანეს. მაზალის ტომის ორი რაზმი შეერთდა და პარონაჩენარუსკენ მიდიან. განცალკევებულ რაზმს ებრძანა უკან დაიწიონ და ლოკარეტში შეგროვდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | $205^1/_2$ | — „ | — „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100^5/_8$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | 102 |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | $99^3/_4$ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $102^1/_4$ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | $99^7/_8$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | $99^1/_2$ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 287 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 246 | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ალექსანდრე ლოლუას, რომელმაც ნიგოითის უფასო სახალხო სამკითხველო-წიგნთსაცავს დაუკვეთა გაზეთი „ივერია“ ამ 1897 წლის პირველ აგვისტოდგან მომავალ წლის იანვრამდე.

წევრი ნიგ. უფასო სახ. წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი პავლე სამსონია



# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და იყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

იყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

დამზღვევი საზოგადოება

„როსსია“

(რუსეთი)

ს.-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 37

**ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მანეთი.**

საზოგადოების მოქმედება:

დაზღვევა სიცოცხლისა

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, ვაჟთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელად, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1896 წლის 1 იანვრისთვის „რუსეთი“-ს საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 102,694,700 მან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოდ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებული იქმნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

დაზღვევა გასაგზავნ საქონლისა

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

—

**განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება და ყოველგვარი ცნობები** ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37): **ტფილისის** განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბილეთები მგზავრებს** როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

(6—147—2)

# ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საცნობელად, რომ ხუთშაბათს, 21 აგვისტოს ამა 1897 წლისას, დღის 12 საათზედ, მის თანადასწრებით, ქ. ფოთში იქმნება უსათუო პირადი ვაჭრობა ასაშენებლად ქ. ფოთში **ხის ხიდისა რკინის ბოძებზედ** მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზედ, 22,200 მ. ღირებულისა. რკინის ბოძები და კოჭები (ბალკები) ქალაქისაგან უფასოდ მიეცემა იჯარადარს. დასაუზრუნველებლად ვალდებულებათა, რომელთაც მიიღებს თავის თავზედ იჯარადარი, მოეთხოვება ბეთ **ათი პროცენტი** საიჯარო ფულიდამ ნაღდად ანუ რუსეთის სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით, ანუ მართებლობისაგან ნათავდებები აქციებით და ობლიგაციებით, აგრეთვე სხვა ბილეთებით, რომელთა ბეთ მიღება მართებლობისაგან ნება დართულია სახელმწიფო იჯარების დროს. პირობები (კონდიციები), პროექტი, გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა, რომელნიც კი საჭირონი არიან წარსადგენად ვაჭრობის დროს, შეუძლიანთ გასინჯონ ფოთის ქალაქის გამგეობაში სადა დღეებში 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—2) ფოთის ქალაქის გამგეობა.



Дозволено цензурою Тифлисъ 7-го Августь 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.